საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2059-02
17/08/2022

2022 წლის 20 აგვისტოდან საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული უნივერსიტეტის კუთვნილი სამეცნიერო ცენტრის გახსნის შესახებ

2019 წლის 16 ივლისიდან საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული უნივერსიტეტის კუთვნილმა სამეცნიერო ცენტრმა შეწყვიტა ფუნქციონირება შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 16.07.2019წ. ბრძანება N 2103-02). ვინაიდან დასრულდა სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები, 2022 წლის 20 აგვისტოდან საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული უნივერსიტეტის კუთვნილი სამეცნიერო ცენტრი მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაახლებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის `ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 12/08/2022 N 1991-02 ბრძანების, საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურის უფროსის, გიორგი ოლგესაშვილის 2022 წლის 16 აგვისტოს N 11534-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1.2022 წლის 20 აგვისიტოდან გაიხსნას საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული უნივერსიტეტის კუთვნილი სამეცნიერო ცენტრი და მან ფუნქციონირება ჩვეულ რეჟიმში განაახლოს.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 16 ივლისის N 2103-02 ბრძანება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ბაზებისა და

დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული უნივერსიტეტის კუთვნილი სამეცნიერო ცენტრის დროებით დახურვის შესახებ“.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურის უფროსს, გიორგი ოლგესაშვილს.

4. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ბრძანებით გათვალისწინებული ტექსტის განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გამოაკრას საჯაროდ საუნივერსიტეტო სტენდზე და გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

სოფიო გაჩეჩილაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი